

შპს უნო
ფინანსური ანგარიშგება
2019

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება ზარალის ანგარიშგება-----	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება-----	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	480,542	543,898	462,110
არამატერიალური აქტივები	4	12,916	12,806	11,180
სულ გრძელვადიანი აქტივები		493,459	556,704	473,289
სასაქონლო მარაგები	5	2,197,807	2,142,879	1,535,992
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	849,820	162,445	135,285
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	2,612,809	1,540,134	993,343
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,660,437	3,845,458	2,664,620
სულ აქტივები		6,153,895	4,402,162	3,137,909
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	133,301	50,553
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,470,460	1,061,574	1,463,879
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,470,460	1,194,876	1,514,432
სულ ვალდებულებები		1,470,460	1,194,876	1,514,432
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		155,154	155,154	155,154
გაუნაწილებელი მოგება		4,528,281	3,052,132	1,468,323
სულ საკუთარი კაპიტალი		4,683,435	3,207,286	1,623,477
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,153,895	4,402,162	3,137,909

შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
არმენ ჩილინგარიანი

მოგება ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	9	9,915,589	8,192,485
ამონაგების თვითღირებულება		(5,338,669)	(4,245,025)
საერთო მოგება		4,576,921	3,947,461
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(2,928,410)	(2,292,181)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	11	(172,361)	(71,470)
მოგება დაბეგვრამდე		1,476,149	1,583,809
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/ზარალი		1,476,149	1,583,809

შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
არმენ ჩილინგარიანი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019 ლარი	2018 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	11,685,063	9,658,493
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(8,621,495)	(7,646,046)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(795,654)	(661,834)
გადახდილი გადასახადები	(1,034,511)	(596,128)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,233,402	754,485
ძირითადი საშუალებების შეძენა	(104,580)	(223,143)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(104,580)	(223,143)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,128,822	531,342
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(56,147)	15,449
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,540,134	993,343
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,612,809	1,540,134

შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
არმენ ჩილინგარიანი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2017	155,154	1,468,323	1,623,477
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		1,583,809	1,583,809
ნაშთი - 31.12.2018	155,154	3,052,132	3,207,286
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		1,476,149	1,476,149
ნაშთი - 31.12.2019	155,154	4,528,281	4,683,435

შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
არმენ ჩილინგარიანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ძირითადი საქმიანობა

შპს უნო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 29/10/2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გამსახურდიას გამზ. N14ბ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით, კერძოდ ფეხსაცმლით და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა.

კომპანიის დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბიგსთეფი, სომხეთი (ს/კ 39377695)

კომპანიის დირექტორი: გარიკ ავაგიანი (პ.ნ. AN0491131)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკუროსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით

ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და რჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე/მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შემენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან.

ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 20%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 10-15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალიანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე და ფულს სალაროში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების

მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი. ხელფასი გაიცემა ყოველთვიურად.

ცვლილებები წარდგენაში

2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები	126472	2874	123598
ბიოლოგიური აქტივები	0	-473289	473289
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,452,841	1,597	1,451,244
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9,369	-390	9,759
სხვა ვალდებულებები	1,668	1,668	0

	კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები	144930	2226	142704
ბიოლოგიური აქტივები	0	-556704	556704
ვალდებულებები			
საეკონომიკური ვალდებულებები	1039140	2226	1,036,914
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	22112	-270	22,382
სხვა ვალდებულებები	322	322	0
საგადასახადო ვალდებულებები	133301.32	-52	133,353
ამონაგები	8,216,245	-	8,216,245
ამონაგების თვითღირებულება	-4,245,025	-5,649,177	-9,894,202
საერთო მოგება	3,971,220	-5,649,177	-1,677,957
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	325,713	-44,183	369,896
საოპერაციო მოგება	1,679,039	-5,693,359	-4,014,320

3. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2018	906160	906,160
შემოსვლა	101417	101,417
ბალანსი 31.12.2019	1007577	1,007,577
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 31.12.2018	(362262)	(362,262)
ცვეთა პერიოდისათვის	(164773)	(164,773)
ბალანსი 31.12.2019	(527035)	(527,035)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2019	480542	480,542

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2018	18820	18,820
შემოსვლა	4497	4,497
ბალანსი 31.12.2019	23217	23,217
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 31.12.2018	(6014)	(6,014)
ცვეთა პერიოდისათვის	(4287)	(4,287)
ბალანსი 31.12.2019	(10300)	(10,300)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2019	12916	12,916

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2019	2018
გასაყიდი საქონელი	2,079,127	2,124,051
სხვა დამხმარე მარაგები	118,680	18,828
სულ	2,197,807	2,142,879

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	42,184	17,515
გაცემული ავანსები	807,636	144,930
სულ	849,820	162,445

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	70,139	61,011
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,542,670	1,479,123
სულ	2,612,809	1,540,134

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
გადასახდელი ხელფასები	18,866	22,112
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,451,594	1,039,462
სულ	1,470,460	1,061,574

9. ამონაგები

	2019	2018
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან - 18%-იანი ბრუნვა	9,914,480	8,191,548
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან - ნულოვანი ბრუნვა	1,109.00	937.00
სულ	9,915,589	8,192,485

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასი	(791,365)	(634,895)
ბონუსი	(220,141)	(206,524)
იჯარის ხარჯი	(1,313,409)	(976,399)
კომუნალური ხარჯი	(91,692)	(72,940)
დაზღვევა	(10,235)	(9,379)
საგადასახადო ხარჯი	(6,936)	(9,948)
ცვეთა და ამორტიზაცია	(169,059)	(148,649)
საბანკო ხარჯი	(58,849)	(45,916)
საოფისე ხარჯი	(7,457)	(6,027)
კომუნიკაციის ხარჯი	(28,803)	(26,062)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(230,464)	(155,442)
სულ	(2,928,410)	(2,292,181)

11. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2019	2018
ელ. ენერგიის მიწოდება	7,328	194
საკურსო სხვაობა	(173,190)	(45,216)
კონვერტაცია	(9,756)	(28,097)
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	821	-
ინვენტარიზაციისას აღმოჩენილი ზედმეტობა/დანაკლ	2,436	5,352
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის მიწოდება	-	(3,703)
სულ	(172,361)	(71,470)

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 8 ივნისამდე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით დაიკეტა შპს უნო-ს ყველა ობიექტი.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2020 წლის 25 აგვისტოს.

შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი

არმენ ჩილინგარიანი

მოგება ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	9	9,915,589	8,192,485
ამონაგების თვითღირებულება		(5,338,669)	(4,245,025)
საერთო მოგება		4,576,921	3,947,461
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(2,928,410)	(2,292,181)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	11	(172,361)	(71,470)
მოგება დაბეგვრამდე		1,476,149	1,583,809
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/ზარალი		1,476,149	1,583,809


 შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
 არმენ ჩილინგარიანი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019 ლარი	2018 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	11,685,063	9,658,493
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(8,621,495)	(7,646,046)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(795,654)	(661,834)
გადახდილი გადასახადები	(1,034,511)	(596,128)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,233,402	754,485
 ძირითადი საშუალებების შეძენა	(104,580)	(223,143)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(104,580)	(223,143)
 ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,128,822	531,342
 სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(56,147)	15,449
 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,540,134	993,343
 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,612,809	1,540,134



შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
არმენ ჩილინგარიანი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2017	155,154	1,468,323	1,623,477
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		1,583,809	1,583,809
ნაშთი - 31.12.2018	155,154	3,052,132	3,207,286
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		1,476,149	1,476,149
ნაშთი - 31.12.2019	155,154	4,528,281	4,683,435


 შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
 არმენ ჩილინგარიანი

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:


2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 8 ივნისამდე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით დაიკეტა შპს უნო-ს ყველა ობიექტი.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2020 წლის 25 აგვისტოს.



შპს უნო-ს დირექტორის მინდობილი პირი
არმენ ჩილინგარიანი